საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 6 23 0000293002

15/03/2023

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ფუნქციათა შემსრულებელს
ქალბატონ თამარ მახარაშვილს

სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის
ფუნქციათა შემსრულებლის მარიამ ადეიშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო თამარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 9 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოწვევით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის, ქალბატონი ჟანა ანდრეასიანის მეთაურობით.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათელებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო
სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის 6 წევრის სასტუმრო "სტამბაში" განთავსება და, ასევე, სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, ქ-ნი ჟანა ანდრეასიანის, ტრანსპორტირება ვიზიტის განმავლობაში, რისთვისაც შეისყიდა სატრანსპორტო მომსახურება ხელკშეკრულება N03-07/2 შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში 9 მარტს მინისტრის მიხეილ ჩხენკელი სადილით გაუმასპინძლდა სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციას რესტორან "ფუნიკულიორში".

რესტორან "ფუნიკულიორის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 4210 ლარი.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220

ასევე, გაცნობებთ, რომ მითითებულმა ორგანიზაციებმა გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი პირობების დაცვით უზრუნველყვეს მომსახურების მოწოდება. დანართის სახით, იხილეთ გაწეული მომსახურებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღნიშნული მომსახურებების საფასურის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტის შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯით.

გთხოვთ, დაავალოთ საბუღალტრო აღრიცხვისა და შესყიდვების სამმართველოს აღნიშნული მომსახურების ასანაზღაურებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება პროგრამული კოდიდან 32 01 01 („განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა“).

დანართი: 9

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფრო
სის ფუნქციათა შემსრულებელი

მარიამ ადეიშვილი